სახალხო გაზეთი

№ 681 ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 1912 წ. № 681

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორის პირადად ნახვა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

აგენტი
მ. ა. გაჟონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80.
(10.1436.4) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში

ოცდა-შვიდიდამ ამ მარიამობის თვიდამ პირველ ენკენისთვემდინ მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (5—1443—3)

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. ავ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. და სულ. ავად.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურის, ყელის და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კბილ. ავად.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.99)

მუშტაიდი

დღეს, 23-ს, 24-ს და 25 აგვისტოს გაიმართება

უფასო სეირნობა

სახალხო მუსიკალურ საზოგადოების სასარგებლოდ.

აუშვებენ დიდ შარს ცეპელინის სისტემისას, მაშხალებს. აჩვენებენ უფასოდ **ახალ სურათებს**, გაიმართება სხვა და სხვა სათამაშოები, ბაღი იქნება მორთული, შესვლა უფასოა. **დასაწყ. საღამოს 5 ს.** (1.627.1)

„განათლების“ საზოგადოების
ქალთა სასწავლებელი

პროგიმნაზიული კურსით, რომელიც შესდგება სამი მოსამზადებელი განყოფილებისა და ოთხი პროგიმნაზიული კლასისაგან.
(საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა № 6).

ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა მოწაფეებისა დაიწყება 27 აგვისტოდან, განმეორებითი—1 სექტემბრიდან. სწავლა დაიწყება 4 სექტემბერს.

ამავე სასწავლებელთან სექტემბერში იხსნება პროფესიონალური განყოფილება საზოგადო განვითარების კურსებით. (2.1458.1)

მიიღება ხელის მოწერა

„მოლიპულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

300 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ღირება მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამომგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—1456—3)

ამა წლის აგვისტოს 21-დან გამოდის ქუთაისში ყოველ დღიური
საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„დილა“.

გაზეთი ღირს ჩვენში:

წლიურად . . .	7 მ. —	საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი ღირს, ვინემ ქუთაისში ღირს.
ნახევარი წლით .	4 მ. —	
სამი თვით . . .	2 მ. 40 კ.	
თვიურად . . .	— 90 კ.	
ქუთაისში თვიურად	80 კ.	

ცალკე ნომრის ფასი ყველგან 5 კ.

21 აგვისტ. წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 3 მ. განცხ. ფასი: პეტიტის სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., თვიურად და წლიურად მორიგებით. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ერთხელ 3 მ., ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ 4 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ შემდეგი ადრესით:
Кутаисъ Михайловская ул., Мелитону Петровичу Асатіани.
სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქცია იმყოფება ალექსანდრეს ქუჩაზე, სახლი თედორაძისა № 6 (3—454—3)

ტფილისის სათავად-აზნაურო ქალთა
სასწავლებლის გამგე

აცხადებს, რომ მისაღები და გადასასვლელი გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვეს.

თავისუფალი ადგილებია:
1, 2 და 3 განყოფილებაში და აგრეთვე 1 და 2 კლასში. (5.1441.5)

ვასწავლი
„ქართულ სიმღერა გალობას“,

მიღება და ჩაწერა ყოველ დღე, შემდეგს დროსა და ადგილს.
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29.
სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.
მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.

ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.

(12.1435.8) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

ტფილისის სათავ.-აზნაურო გიმნაზიის
დირექტორი

უცხადებს ამ გიმნაზიის მოწაფეთ,

რომ შაბათს, 25 ამ თვეს, ნაშუადღევის 5½ საათზე უნდა გამოცხადდნენ გიმნაზიაში საზაფხულო ტანისამოსში სუფთად ჩაცმულნი (შავი შარვალი, თეთრი ბლუზა და ქუდი.) (3.1462.1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება სახელმძღვანელო წიგნები: (20% დათმობით)

გოგებაშვილის დედა-ენა I უყდო . . . . . . ფ. 10 კ.	იოსელიანის ლოცვანი ყდით 30 კ.
„ „ I ყდიანი— 15 კ.	„ საღმრთო სჯული — 50 კ.
„ „ II — — 40 კ.	ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი . . . . . . 60 კ.
„ ბუნების კარი . . . 70 კ.	ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ. 1 მ. 25 კ.
„ Методика къ Русскому слову . . . . . 40 კ.	აკაკი, იგავ არაკნი . . . . 50 კ.
„ Русское слово I . . 40 კ.	ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 კ.
„ „ „ II . . 50 კ.	კაცია-ადამიანი? . . . . 20 კ.
გომელაური. ქართველი მწერლები . . . . . I . . . 80 კ.	გლახის ნაამბობი . . . . 20 კ.
„ „ II 1 მ. 45 კ.	კაკო ყაჩაღი . . . . . . 5 კ.
	ქართ. წერის დედანი სახატავი ნიმუშებით . . . . 25 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.106)

საგურამოში

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს.** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 370)

შპალიერი
ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა.
ტფილისის განყოფილება.

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.4)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 23)

ვაგზლის კერძო
სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. მოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—6).

მედიცინის დოქტორი
ი. ბ. ჩუდნოვსკი

სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფ. 1090. (6—1453—2)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—70)

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—95)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაჩეთის ქ., № 6

ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—48)

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.8)

ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.229)

ექიმი ნ. ტ. მულინი ყელის, ცხვირ. და ყურ. ავადმყ. ვერის დაღმართი, № 3, დილ. 12—2 ს. და საღ. 7—8 საათ. (2—624—2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1049—125)

ექიმი ს. ი. ბძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—29)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე.

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.184)

ტფილისი 23 აგვისტო

ბალკანეთის მდგომარეობა.

ყოველ დღე თითქმის დაუჯერებელი ამბები მოაქვს ბალკანეთიდან ტელეგრაფს. ოსმალეთის უკანასკნელი შერყევის დროს მის მეზობლებს დაუდგათ შესაფერისი მომენტი თავის ფარულ განზრახვათა გამოაშკარავებისა და განხორციელებისა. ზოგი მათგანი, როგორც, მაგ., ავსტრია, მეგობრული გულ-მტკივნეულობით ვითომ სწუხდა ოსმალეთის უნუგეშო მდგომარეობას და სხვა და სხვა საშუალებას აწვდიდა მას აწეწილ შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად. ამ ერთი კვირის წინად ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა, გრაფმა ბერტჰოლდმა ოსმალეთის მთავრო-

ბას წარუდგინა პროექტი ოსმალთა იმპერიის დეცენტრალიზაციისა, რომელიც ისეთი გეგმით იყო შედგენილი, რომ ერთი აურ-ზაური გამოიწვია არა თუ მარტო დიდ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ ბალკანეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ იმ პატარა სახელმწიფოთა შორისაც კი, როგორიც არიან: ჩერნოგორია, სერბია, ბულგარია, რუმინია და სხვა.

რასაკვირველია, ავსტრიის ისტორიულმა თვალთმაქცობამ ვერავინ მოატყუა. პროექტის ფარული აზრი მეტად უხერხულად იყო გახვეული ავსტრიის „კეთილგანწყობილების“ სამოსელში. ხსენებული პროექტის ძალით ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო ნაწილებს (ალბანეთს და რუმელიას) ისეთი თვითმმართველობა უნდა მისცემოდა, რომელიც მომავალში შეძლებას მისცემდა ავსტრიას ისეთივე სიადვილით მიესაკუთრებია მოსაზღვრე პროვინციები, როგორც ეს ბოსნია-ჰერცოგოვინის მაგალითმა ასწავლა. მაგრამ ოსმალეთმა, რომლის „სიყვარულისა და კეთილდღეობისათვის“ ავსტრიამ ამდენი შრომა გასწია, დიდი ხნის ბჭობისა და თათბირის შემდეგ, ასეთი პასუხი გასცა გრაფ ბერტჰოლდს: ოსმალეთის მთავრობა მადლობასა სწირავს ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობას იმ დახმარებისათვის, რომელიც მის მიერ წარმოდგენილი დეცენტრალიზაციის პროექტით გამოიხატა, მაგრამ ამასთანავე აცხადებს, რომ რადგან ალბანეთისთვის განზრახული შეღავათი რუმელიის სხვა ერებზედაც გავრცელდება და რადგან ამ შემთხვევაში ოსმალეთის მთავრობას არა აქვს განზრახვა დეცენტრალისტური სისტემის შემოღებისა, ბრწყინვალე პორტა იძულებულია კათეგორიულად უარჰყოს გრაფ ბერტჰოლდის წინადადება და არც კი განიხილოს იგი, რადგან ხსენებული პროექტი ოსმალეთის იმპერიის შინაურ საქმეებში ჩარევას მოასწავებს“.

ასეთი მტკიცე პასუხი გასცა მუხტარ-ფაშის კაბინეთმა გულზვიად გრაფს, მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ავსტრია მეტად დაჯერებულია თავის ძლიერებასა და მომენტით სარგებლობაში, რომ ერთბაშად ხელი აიღოს დიდი ხნიდან ნაზრახ გეგმაზე. იგი ჩვეული ხრიკებით ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებს უჩუჩხურებს - ზოგს ტერიტორიის გადიდების სურვილს უღვიძებს, ზოგს კავშირსა და დახმარებას ჰპირდება ოსმალეთთან ბრძოლის დროს, ზოგს კი პირდაპირ მუშტს უჩვენებს და ამგვარი საშუალებით ცდილობს ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომელსაც მხოლოდ ომი და თუ შესცვლის. დღეს უკვე აშკარად ლაპარაკობენ ბალკანეთის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შესახებ, უკვე წარმოითქვა სიტყვა: „ომი“. ოსმალეთის ერთს გამოჩენილ დიპლომატს ბაასი ჰქონია „რუსკოე სლოვოს“ სტამბოლელ კორესპონდენტთან ბალკანეთის დღევანდელ ვითარების შესახებ. „ამ რამდენიმე თვის წინად — უთქვამს დიპლომატს—სრულიად ცხადი შეიქმნა, რომ ჩერნოგორია და ბულგარეთი ჩამოშორდნენ რუსეთს. მას შემდეგ რაც ჩერნოგორია—ბულგარეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა ინახულეს მეფე ფრანც-იოსები, ევროპის ოსმალეთის საკითხი უკვე გადასწყდა. ჩერნოგორია ჯერჯერობით დაკმაყოფილდა იმ ტერიტორიის დაბრუნებით, რომელიც ბერლინის ტრაქტატის ძალით ჰქონდა მას მისჯილი და ელის შესაფერ მომენტს. ეს მომენტი უკვე დადგა. თქვენ, რასაკვირველია, ჰხედავთ თუ რაგვარს დამოკიდებულებაში არიან ჩერნოგორელები და ბულგარები ალბანეთის აჯანყებასთან, ჰხედავთ აგრეთვე იმ გამოლაშქრებას ხსენებულ—სახელმწიფოთა, რომელიც ავსტრიის წინამძღოლობით იწყება. პირობის ძალით ჩერნოგორია, რასაკვირველია, წინააღმდეგობას არ გაუწევს ავსტრიას ნოვობაზარის სანჯაყის დაჭერის დროს, ხოლო ბულგარეთს ფიქრადაც არაოდეს მოსდიოდა ხსენებული სანჯაყის შემოერთება. როგორი ღაა სერბიის როლი? ბალკანეთზე რუსეთის ამ ერთად ერთი მოკავშირის როლი მეტად სავალალოა. დღემდე პეტერბურგიდან მას არა მიუღია რა, გარდა სამშვიდობო დარიგებისა ოსმალეთთან დავის დროს. ბელგრადის მთავრობა მოთმენით უცდიდა, რომ რუსეთი, რომელმაც ერთ დროს არ მოისურვა ბოსნია ჰერცოგოვინის დაცვა, ოდესმე მაინც გზას გაუხსნიდა სერბიას ზღვისკენ და არ დაახრჩობდა სლავიანთა ქვეყანას. რასაკვირველია, მარტო სერბიას არ შეუძლიან ნოვობაზარის სანჯაყის დაცვა და ამრიგად ავსტრია პალოსავით შეიჭრება სლავიანთა ორ სახელმწიფოს შუა“. ასეთია აზრი თვით იმ სახელმწიფოს დიპლომატისა, რომელიც ყველაზე უფრო დაინტერესებულია ბალკანეთის აწეწილ მდგომარეობის გამოსარკვევად და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ნალაპარაკევი გადაჭარბებული არ არის.

ქართული პრესა

ქუთათური „დილა“ რაჭაში რიონის პირად ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის აშენების საკითხს ეხება. აქაც ჩვეულებრივ სიბეცეს იჩენს და კალმის ერთის მოსმითა ჰსურს გადასწყვიტოს ფრიად საყურადღებო საკითხი. ზოგიერთი ადგილები იმდენად დამახასიათებელია მათი გადაგვარებული აზროვნებისა, რომ არ შევვიძლიან არ ამოვსწეროთ და ჩვენს მკითხველებსაც არ გაუზიაროთ. საქმე შეეხება უცხოელთა კაპიტალის შემოსვლას საქართველოში. „დილა“, რა თქმა უნდა, თავისებურად, პრიმიტიულადა სჯის: ოღონდ კი საქართველოში კაპიტალი დატრიალდეს და ვისიც უნდა იყოს იგიო.

> „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ასამუშავებლად,—სწერს „დილა“,—საჭიროა თანხა, კაპიტალი, ტეხნიკა და საიდანაც უნდა მოვიდეს ის, რა ეროვნებამაც არ უნდა მოიტანოს, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება ადგილობრივი ცხოვრების გაევროპიელებისა და პროგრესის გზაზე დაყენების საქმეში.“

რომ საქართველოს ბუნების წიაღში ჩამარხულ სიმდიდრეს ამოძრავება უნდა, ამას ყველა აღიარებს, მაგრამ ქვეყნისთვის რომ სულ ერთი იყოს, ვინ დაეპატრონება ჩვენს სიმდიდრეს, ისევ ქართველი, თუ ვიღაც გადამთიელი კაპიტალისტი,—ამის თქმა მხოლოდ „დილის“ პუბლიცისტებს შეუძლიათ. „დილა“-ს მსჯელობა მოგვაგონებს იმ დამშეულთ ადამიანის მსჯელობას, რომელიც ნასუფრალითაც კმაყოფილდება, ოღონდ-კი კუჭი ამოიმსოს. უცხოეთის კაპიტალი საქართველოს გამოსწოვს საუკეთესო წვენს, უცხოეთის კაპიტალი ოქროდ ნაქცევ სიმდიდრეს საზღვარ-გარედ გაზიდავს და აქ კი შეგვრჩება გამოფიტული, ბოგანოდ ქცეული მომუშავე ძალა. რა თქმა უნდა, თუ ჩვენებურ ანდაზას დაუჯერებთ, „ცალუღლი ხარი სჯობიან, სულ არ ყოლასა“, მაგრამ რეგვენი თუ იტყვის, ცუდად იქცევა ის, ვინც მეურნეს ურჩევს, გუთნეული გაიჩინეო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 21 აგვისტოს ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი ნ. ლ. პეტერსონი.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ვატაცის წარუდგა** 20 აგვისტოს ქიურდამირ-ასტარის რკინის გზის გამოკვლევათა უფროსი ვ. ა. სახანსკი. გუშინ სახანსკი ნამესტნიკსაც წარუდგა.

✦ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება გუშინ მოხდა. განსახილველი ჰქონდა 10 საქმე.

✦ **უწმ. სინოდის განკარგულებით** ახტალის მამათა მონასტერი დედათა მონასტრად იქნება გადაკეთებული.

✦ 23-ს 24 და 25 აგვისტოს მუშტაიდში გაიმართება **უფასო სეირნობა** სახალხო მუსიკალურ საზოგადოების სასარგებლოდ. გაუშვებენ მაშხალებს, აჩვენებენ ახალ სურათებს. გააფრენენ დიდ ცეპელინის შარს და სხვა. ბაღში შესვლა უფასოა, დასაწყისი 5 საათზე.

✦ **საქართველოს საისტორიო და საარქეოლოგიო საზოგადოების საბჭოს** წევრნი გ. რ. გორგაძე და დეკანოზი კ. კეკელიძე ქუთაისის გუბერნიიდან დაბრუნდნენ. ისინი წასულნი იყვნენ სამეცნიერო აზრით საზოგადოების საბჭოს დავალებით. ბ-ნს გორგაძეს შორაპნის მაზრაში შეუკრებია დიდძალი ძველი ხელთნაწერი, ფული და სხვა და სხვა საარქეოლოგიო საგნები. დეკანოზს კ. კეკელიძეს დაწვრილებით აუწერია გელათის მონასტრის მდიდარ ბიბლიოთეკის ხელთნაწერები. ორთავე წევრი საზოგადოების მომავალ კრებას თავის მოგზაურობის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას წარუდგენს.

✦ **პ. მ. კორხანიდი.** სამის დღის წინად პარამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა პედაგოგი პერიკლ მიხეილის ძე კორხანიდი. განსვენებული წინად დიდხანს იყო მასწავლებლად ტფ. ქართულ გიმნაზიაში და შემდეგ ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში. პ. კორხანიდი ცნობილი იყო, როგორც რამოდენიმე რუსულ სასწავლო სახელმძღვანელოს შემდგენელი. განსვენებულის ცხედარი გუშინ მიწას მიაბარეს დიდუბის ეკლესიის გალავანში.

✦ **გელათის მონასტრის აღწერა.** სპეციალისტთა შორის აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ დაწვრილებით შეადგინოს და ცალკე წიგნად გამოსცეს გელათის მონასტრის ისტორიულ-არქეოლოგიური აღწერა. ამ საქმეს მეთაურობს საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების ბლაღოჩინი არქიმანდრიტი ნაზარი.

✦ **სამართალში მისცეს** ტფილისში მცხოვრები ქალი ტატიანა ლაპშინა, რომელმაც პოლიციელს ქრთამი შეაძლია.

✦ **ექსკურსია.** ამ დღეებში სამეცნიერო აზრით ტფილისში ჩამოვლენ და შემდეგ ბაქოს გაემგზავრებიან შვეიცარიელი ბოტანიკები პროფესორ რიკლის მეთაურობით.

✦ **დეკანოზი პაშკევიჩი,** სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **სასანიტარო დათვალიერება.** 20 აგვისტოს, სასანიტარო ექიმმა გ. ნათიშვილმა და ბოქაულმა დავიდოვმა ქალაქის კახეთისა და ლაზარევის ქუჩაზე სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერეს და ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინეს. დამნაშავეთ ოქმები შეუდგინეს.

✦ **კიდევ მეპურენი.** გუშინ პირველ, მეორე და მესამე უბნის სავაჭრო მეთვალყურემ პურის ძვირად გაყიდვისათვის 14 მეპურეს შეუდგინა ოქმი.

✦ **ევლახ-შუშის რკინის გზა.** როგორც ტფილისში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, ამ დღეებში შესდგომიან ევლახ-შუშის რკინის გზის გაყვანას.

✦ **სახალხო სეირნობა.** 23, 24 და 25 აგვისტოს მუშტაიდში გაიმართება უფასო სახალხო სეირნობა სახალხო სამუსიკო საზოგადოების სასარგებლოდ. პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი.

✦ 21 აგვისტოს ტფილისში 86 უპასპორტო შეიპყრეს.

სასწავლებლებში.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ქალაქის გამგეობას დეპეშით აცნობა, ხელმწიფე იმპერატორმა მინისტრთა საბჭოს უმცირესობის აზრი დაამტკიცა, რომლითაც ტფილისში პოლიტეხნიკუმი უნდა გაიხსნას იმ პირობით კი, რომ მისი მოწყობა და შენახვა ადგილობრივმა ხალხმა უნდა იკისროსო. როგორც დანამდვილებით ამბობენ, შესანახის ხარჯის დიდი ნაწილი დაფარულ იქნება საეროზბო თანხით.

✦ **სამხედრო სასწავლებელი** სურამიდან ტფილისს გადმოვიდა.

✦ **ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტისა** და ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებლის სამღვთო სჯულის მასწავლებლად ეგზარხოსმა დანიშნა ანჩისხატის ტაძრის წინამძღოლი დეკანოზი ნ. თალაკვაძე.

ქუთაისი.

✦ ქიათურის **შავი-ქვის საბჭოს** უფლება ჰქონდა მინიჭებული, რომ თავის ხარჯით დაარსებულ, ქიათურის სამოქალაქო სასწავლებელში თითონ აერჩია ინსპექტორ-მასწავლებელი, ოლქის მზრუნველი მხოლოდ ადასტურებდა ასეთს თუ ისეთს არჩევანს. დღეს ოლქის მზრუნველს საბჭოს დაუკითხავად, დაუნიშნავს ხსენებულ სამოქ. სასწავლებლის ინსპექტორად, ნაცვლად ნ. ჯაყელისა, ხონის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ს. მამალაძე.

✦ **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის** უფროსის—ქ-ნ ტიმჩენკო-იაროშენკოს ნაცვლად ჯერ არავინ დაუნიშნავთ, მაგრამ ამბობენ, რომ იგი კვლავ დაბრუნდება თავის ადგილზეო. სასწავლებელში მომხდარი ინციდენტის გამო დათხოვნილი მასწავლებელნი რიცხვით ცხრა, ისევ მიიღეს უწყებაში, მაგრამ მთელს სამოსწავლო ოლქში დაქსაქსეს.

იაკობ გოგებაშვილის ფონდი

იალტაში შეგროვილი.

სია შემომწირველთა:

ზაქარია რაზმაძე 2 მ., ევგენი და ვალერიან კანდელაკები 3 მ., ბესარიონ სხვიტარიძე 1 მ., ალექსანდრე ნამგალაძე 1 მ., თედო გიორგობიანი 1 მ., სილიბისტრო კობახიძე 50 კაპ.. ილია [illegible] 50 კ., Александръ Тюменевъ 50 კ., დუთა ხელაშვილი 50 კ., [illegible] 50 კაპ., სვიმონ ღლონტი 30 კ. ალექსაშვილი 20 კ., ბარაბაძე 20 კ., ნიკო დგებუაძე 20 კ.

სულ 11 მან. 40 კ.

იაკობ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად სოფ. ართანაში (კახეთი) შემოსწირეს:

ორი მანეთი: კნ. ნინო ყარალაშვილისამ. მანეთ ნახევარი: კნ. მანანა ყარალაშვილისამ, თავადის ასულმა ყარალაშვილმა, თავად არჩილ ყარალაშვილმა.

თითო მანეთი: თ-დ ვასო ავალიშვილიმა, მღვდელმა ტატიშვილმა, მარკოზა ამირაჯიბმა, მოსე. ჩიტაშვილმა.

ათ-ათი შაური: ივანე ირემაულმა, გიორგი გაგლიაშვილმა, იასე სოლომონაშვილმა, გიორგი ლეჟავამ, ბაღდია არუთინოვმა, საბედა ტკიშვილმა, ვანო ნერგაძემ, იაკობ ჯანაშიამ, ლიზა ბეჟანაშვილმა, ეფრემ მელიქიშვილმა, გაბო გურგენოვმა.

ორ-ორი აბაზი: ელო გაიპარაშვილმა, ბარბარე ტატიშვილმა, ილიკო ჯაშიშვილმა, შაქრო საქუაშვილმა, სოსიკო აივაზაშვილმა.

ექვს-ექვსი შაური: მეიხეს, ნინო ჩახუტაშვილმა.

ხუთ-ხუთი შაური: ვანო ყალაბეგოვმა, ალექსა ბაქრაძემ, მართა ჯაშიმ.

თითო აბაზი: ნიკო სიმაშვილმა, ვანო გაიპარაშვილმა, სოსიკო ეჩიტაშვილმა, ხაჩო წველერაშვილმა, საქულა გალუსტოვმა, ლიზა საჩოშვილმა, ილო ჯორჯაძემ, ვარო ჩაღმაველმა, ესტატე კოლელიშვილმა.

სამ-სამი შაური: სიდონა სიმაშვილისამ, მარო ნერგაძემ, ოლა ტიკიშვილმა, პელა წიფლაშვილმა, ქალია მარტიროზოვმა, სოფიო ჯაშიმ, ნინო ირემაულმა, კოტე ჩიდრაშვილმა, ნინო ჩაჩაურიშვილმა, ანო ჯიქურიშვილმა, მარო კაჭკაჭაშვილმა.

სულ შეგროვდა 23 მ. 30 კ.

პატივისცემით **კნ. ნინო ყარალაშვილსა.**

სოფ. აწყურში (ახალციხ. მაზრ.) შეგროვილი **მღ. ეფრ. ინასარიძისაგან.**

სია შემომწირველთა:

მღვდელი ეფრემ ინასარიძე, 2 მ., მარიამ ხაჭაპურაძისა, 40 კ., მარიამ მაისურაძისა, 25 კ., სონა მაისურაძე, 20 კ., თამარი ხაჭაპურაძე, 50 კ., ეკატერინე ანდღულაძისა 20 კ., ანნა ხაჭაპურაძისა, 20 კ., გაიანე მაისურაძე, 20 კ., ალ. მაისურაძე 20 კ., მელანია მაისურაძე, 20 კ., ანა მაისურაძისა, 20 კ., მარიამ მაისურაძისა, 20 კ., მარიამ მაისურაძისა 20

გარეული იხვი

ჰენრიკ იბსენისა.

დრამა ხუთ მოქმედებად.

(შემდეგი *)

მოქმედება მეოთხე.

ჰიალმარ ეკდალის სამუშაო ოთახი. ეს არის ეხლა გადუღიათ სურათი. სცენაზედა სდგაა ფოტოგრაფიული აპპარატი, შავ-გადაფარებული, რამდენიმე სკამი პატარა მაგიდა და სხვა. მზე ჩასასვლელს არის ცოტა ხანს შემდეგ ჩამობნელდება გინა ტალანში გასავალ კარებში სდგას და ვიღასაც ელაპარაკება. ხელში სველი ფოტოგრაფიული შუშა უჭირავს.

გინა. დიაღ, დიაღ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თუ მე ვისმე დავპირდი რასმე, აუცილებლივ ავუსრულებ კიდეც. ორშაბათს ყველაფერი მზად იქნება. ნახვამდის! ნახვამდის! (ისმის კიბეზედ ჩამავალი ფეხის ხმა. გინა კარებს მიხურავს. შუშას კასსეტში ჩასდებს და შავ-გადაფარებულ აპპარატში ჩასვამს).

ედვ. (სამზარეულოდან შემოდის). წავიდნენ?

გინა. დიდება ღმერთსა! გავისტუმრე.

ედვ. რას ნიშნავს, რომ მამა ჯერაც არ დაბრუნებულა?

გინ. დანამდვილებით იცი, რომ რელლინგთან არ არის?

ედვ. ჰო, ეს არის, ეხლა ვიკითხე, იქ არ არის.

გინა. სადილი სრულებით გაუცივდა.

ედვ. მამამ ყოველთვის თავის დროზედ იცის სადილი და მოსვლაც.

გინა. ეხლავე მოვა.

ედვ. ჩქარა მაინც მოვიდეს. ყველაფერი ეხლა რაღაც მეუცხოვება.

გინა (წამოიძახებს). აი ისიც! (ჰიალმარი შემოდის).

ედვ. (მიეგებება). რა ერთი ხანია გიცდით, მამა.

გინა. (ქვეშ-ქვეშ შეხედავს). რამდენი ხანი დაიგვიანე, ეკდალ.

ჰიალმ. (არ უცქერის). ჰო, ცოტა დავიგვიანე. (პალტოს იხდის, ედვიგსა და გინას უნდათ უშველონ, მაგრამ ჰიალმარი იმათ მოიშორებს).

გინა. იქნება შენ ვერლესთან ისადილე?

ჰიალმ. (პალტოს დაჰკიდებს). არა.

გინა. მაშ ეხლავე მოგიტან სადილსა.

ჰიალმ. ეჰ, არ მინდა შენი სადილი. მე ეხლა ვერაფერსა ვჭამ.

ედვ. (მიუახლოვდება). ცუდად ხომ არა ხარ, მამავ?

ჰიალმ. ცუდად? ჰო, ცოტა რაღაცნაირადა ვარ. მე და გრეგერსმა ბევრი ვიარეთ და დავიღალე.

გინა. ეგ შენ არ გარგებდა, ეკდალ; დაჩვეული არა ხარ სიარულსა.

ჰიალ. ცხოვრებაში ბევრს რამეს ეჩვევა ადამიანი. (აღელვებული დადის ოთახში). უჩემოდ იყო ვინმე?

გინა. მხოლოდ ისინი იყვნენ—ნეფე-პატარძალი.

ჰიალმ. სხვა არავინა?

გინა. არა, დღეს სხვა არავინა ყოფილა.

ედვ. აი, ნახავ, მამავ, რომ ხვალ იქნებიან.

ჰიალ. ღმერთმა ჰქნას! ხვალიდან მე უნდა მუყაითად შევუდგე საქმეს.

ედვ. ხვალიდგან? განა დაგავიწყდა ხვალ რა დღეა?

ჰიალმ. ჰო, მართალია. მაშ ზეგიდაგან. ყველაფერს ჩემის ხელით გავაკეთებ, ყველაფერზე თითონ ვიზრუნებ.

გინა. რადა ეკდალ? მაგით მხოლოდ სიცოცხლეს გაიფუჭებ. ფოტოგრაფია ხომ ჩემს ხელშია და შენ შენს გამოგონებას მიუჯექი ისევა.

ედვ. და გარეულ იხვსა, ქათმებსა და ბაჭიებთან იყავი ხოლმე, მამავ.

ჰიალმ. მაგისთანა სულელურ რამეებს ნუ მეუბნები. ხვალიდგან ჩემი ფეხი იქ აღარ იქმნება.

ედვ. აკი დამპირდი, მამავ, რომ შენს დღეობას ხვალ იქ გადავიხდით?

ჰიალ. ჰმ...ჰო, ეგ მართალია, მაშ ზეგიდგან. იმ გარეულ იხვს კი დიდის სიამოვნებით მოვუგრეხდი კისერსა.

ედვ. გარეულ იხვსა?

გინა. მაგ გვარი რამ ჯერ არასოდეს არ გამიგონია შენგან.

ედვ. (კალთას ჩამოსწევს). მამავ, მერე ის ხომ ჩემი იხვია.

ჰიალ. მეც მაგიტომ არ ვარსულებ მაგასა. შენის გულისთვისა ვტოვებ იმას ცოცხალსა. მე გამბედაობა არა მყოფნის,.. არა მყოფნის... შენს გამო, ედვიგ, თუმცა აი აქ, გულში კი, ღრმადა ვგრძნობ, რომ აგრე უნდა მექმნა. მე არ უნდა ვითმენდე· რომ ერთი არსებაც კი არ იყოს იმის ხელში ნამყოფი ჩემს სახლში.

გინა. მხოლოდ იმიტომ რომ პაპამ ის იმ სულელი პეტრესენისაგან მიიღო...

ჰიალ. (დარბის ოთახში). არსებობენ ცნობილი საკითხები... რა დავუძახოთ... დავარქვათ მათ იდეალური საკითხები, რომლებიც ადამიანმა არ უნდა დაივიწყოს, თუ არა სურს თავისი სულის გატალახიანება-გასვრა.

ედვ. (უკან დასდევს) გარეული იხვი, მამავ... საწყალი იხვი.

ჰიალ. (შეჩერდება). ხომ გაიგონე, არას ვერჩი... შენის გულისთვის. ერთს ბუმბულსაც კი არ შევახებ ხელსა... გაიგე, იმას არას ვერჩი,-მე უფრო საჭირო და დიდი ამოცანები მაქვს ცხოვრებაში, ვინემ ეგ. აბა, ეხლა კი ჩვეულებისამებრ გაისეირნე, ედვიგ: აი ჩამობნელდა კიდეც.

ედვ. არა, მე დღეს არსად არ წავალ.

ჰიალ. წადი, წადი, ემანდა როგოგორღაც თვალებსა ბჟუტავ... ეს ჰაერი გაწყენს... რაღაც ჩახუთული და აყროლებული ჰაერია აქა.

ედვ. კარგი, უკანა კიბეზედ ჩავალ და ცოტას გავისეირნებ... სად არის ჩემი პალტო და შლიაპა. ჰო, აი ისინიც! მერე, მამავ, უჩემოდ ხომ არას უზამ იხვსა.

ჰიალ. იმის ბუმბულსაც კი არ ვახლებ ხელსა! (გულზედ მიიკრავს). ორნი ვართ ჩვენ, ედვიგ: შენა და მე! აბა, წადი, წადი. (ედვიგი თავს უკრავს და გადის. ჰიალმარი ოთახში დადის.) გინა!

გინა. რა?

ჰიალ. ხვალიდგან ე. ი. ზეგიდან შესავალ-გასავლის წიგნს მე ვაწარმოვებ.

გინა. შესავალ-გასავლის წიგნიც გინდა შენ აწარმოვო?

ჰიალ. ჰო, მინდა შესავალს მაინც ყოველ შემთხვევაში ყური ვუგდო,

გინა. ეგ ადვილია.

ჰიალ. დასაჯერი არც კია, რამდენი ხანი გყოფნის ფულები... (დამშვიდებული სდგას და უცქერის). როგორ ხდება ესა?

გინა. მე და ედვიგს ისე ცოტა გვინდება...

ჰიალ. მართალია, რომ თურმე მამას ბევრს აძლევს გადაწერაში ვერლე?

გინა. მე არ ვიცი ბევრია თუ ცოტა. გადაწერის ფასი არ ვიცი.

ჰიალ. მაინც დაახლოვებით რამდენს იღებს?

გინა. დაახლოვებით იმდენს, რამდენიც თითონ გვიზის ჩვენა და კიდევ ცოტაოდენს ჯიბის ფულსაც.

ჰიალ. რამდენიც ის ჩვენ გვიზის! მერე არ შეგეძლო ჩემთვის ეგ ადრევე გეთქვა?

გინა. როგორ უნდა მეთქვა, აბა... შენ ისე გიხაროდა, როცა გეგონა, რომ ის ყველაფერს შენგან იღებდა.

ჰიალ. იმას კი თურმე ვერლესაგან ჟღია.

გინა. მგონი, ვერლეს სამყოფი აქვს.

ჰიალ. ლამპა აანთე.

გინა. (ანთებს) ამასთანავე ჩვენ რა ვიცით, რომ ეს ვერლესაგან არის. შესაძლებელია გრობერგის ბრალიც იყოს.

ჰიალ. ეგ თავის მართლება და გრობერგის მოყვანა რაღაა?

გინა. რა ვიცი, მე მხოლოდ ისე ვიფიქრე...

ჰიალ. ჰმ...

გინა. პაპას მე ხომ არ ვუშოვე გადასაწერი. ბერტა სითრბუმ უშოვა, როცა ის ვერლესთან გადავიდა.

ჰიალ. მგონი, შენ ხმა გიკანკალებს.

გინა. (ლამფას აბაჟურს დახურავს). ჰო-ო?

ჰიალ. ხელებიც გიკანკალებს. ან იქნება ვცდები?

გინა. (მტკიცედ). სთქვი პირდაპირ, ეკდალ. რა გითხრა იმან ჩემზე?

ჰიალ. ნუ თუ შესაძლოა მართალი იყოს, რომ შენსა და ვერლეს შუა... რამე დამოკიდებულება ყოფილიყოს, როცა იმასთანა მსახურებდი?

გინა. ეგ ტყუილია. მაშინ არ იყო არაფერი. თუმცა ვერლე მოსვენებას არ მაძლევდა... ჰო, მე ტყუილს არ ვიტყვი. იმისი ცოლიც ეგრე ფიქრობდა, ვითომ ჩვენ შორის ყოფილიყოს რამე, ამიტომ ის მლანძღავდა, მცემდა, როცა კი შეეძლო, რისთვისაც იმათ სამსახურს თავი დავანებე.

ჰიალ. მაშ მერე იყო?

გინა. ჰო. მე უკვე სახლში ვცხოვრობდი. დედაჩემი ისეთი რიგიანი ქალი არ იყო, როგორც შენ გეგონა. დედაჩემი სულ მირჩევდა... ვერლე უკვე ქვრივი იყო...

ჰიალ. მერე! მერე?

გინა. ჰო, სჯობს ყველაფერი იცოდე. ვერლემ თავი არ დამანება, სანამ თავისი გულის წადილი არ აისრულა.

ჰიალ. (თავზე ხელებს იმტვრევს). და ეს დედაა ჩემი ბავშვისა! რად დამიმალე ყველა ეს შენა?

გინა. ეგ ცუდად მოვიქეცი... უნდა აქამდე ყველაფერი მეთქვა...

ჰიალ. მაშინვე უნდა გეთქვა ეგ ჩემთვის, რომ მცოდნოდა, თუ რა ხარ.

გინა. მერე, კიდევ შემირთავდი?

ჰიალ. განა მაგას კითხვა უნდა? რასაკვირველია, არა!

გინა. ჰო, და აი მაგიტომ ვერ გავბედე მეთქვა. ხომ იცი, რა რიგ შემიყვარდი. თავისი თავის მტერი კი აბა ვინ იქმნება?!

ჰიალმ. (დადის) და ეს დედაა ჩემი ედვიგისა! და ეს გრძნობა, რომ ყველაფრივ რასაც აქა ვხედავ (ფეხსა ჰკრავს სკამსა და გადაისვრის), მთლად ჩემი ოჯახის კერით დავალებული ვარ ჩემი ბედნიერი წინამოადგილისაგან! ოჰ, ეს გარყვნილი ვერლე!

გინა. ნუ თუ შენა ნანობ იმ თოთხმეტსა თუ თხუთმეტს წელს, რომელიც ერთად გავატარეთ?

ჰიალმ. (გაჩერდება იმის წინ) და ნუ თუ შენ კი არა ნანობ ყოველ დღე, ყოველ საათს შენს ცოდვილ სიჩუმეს, რომლითაც ობობის ქსელივით გამაბი? აბა, მიპასუხე! ნუ თუ არ გაწუხებდა ცოდო, არა გქენჯნიდა სინიდისი?

გინა. ძვირფასო ეკდალ, სადა მქონდა მაგაების ფიქრის დრო, რომელიც ისეც არა მყოფნიდა და ოჯახურ საქმეებს ვერ ავდიოდი.

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 676.

კ., ელისაბედ მასურაძისა, 50 კ., ანასტასია მაისურაძისა, 30 კ., ერმონია მაისურაძე, 20 კ., ფებრონია ხაჭაპურაძისა, 40 კ., მარიამ ხაჭაპურაძისა 40 კ., ოლღა ხაჭაპურაძისა, 20 კ., ნატალია ხაჭაპურაძისა, 40 კ., მელანია ხაჭაპურაძისა, 40 კ., ნინო ხაჭაპურაძე, 20 კ., სიდონია ხაჭაპურაძისა 20 კ., დავით ხვთისოვი, 20 კ., რ. ხმალაძე, 50 კ., პავლე მელიქიძე, 20 კ., არჩილ ჯაფარიძე, 20 კ., ირინე წიუვოგისა, 20 კ., ნინო კურტანიძე, 20 კ., ანნა მალაქოვისა, 20 კ., ეფემია გასიტაშვილი, 20 კ., ანნა წიქვაძე, 20 კ., თამარი გასიტაშვილი 20 კ., ევდუქსი გოგოლაძის, 25 კ., ოლღა გასიტაშვილისა, 20 კ., დიმიტრი გრატენკო, 20 კ., თეკლე კურტანიძისა, 10 კ., სტეფანე მარტინენკო 20 კ. სულ 11 მ. 40 კ.

ხაშურის პროგიმნაზიის გარშემო

ამას წინად გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩ“-ში კორესპოდენცია იყო დასტამბული, სადაც წერილის ავტორი აღნიშნავდა ქ-ნ ე. შატბეროვის მიერ სასამართლოში აღძრულ საჩივრის შედეგს და გზა და გზა ხსენებულ სკოლის კომიტეტსაც არ სტოვებდა უყურადღებოდ. წერილის ავტორი აგვიწერდა საქმის მდგომარეობას და საზოგადოებას შესჩიოდა: ხსენებული ქალბატონი უდანაშაულოდ დაღუპესო. რადგან ეს კორესპოდენცია სიმართლეს სრულიად მოკლებულია და, საკითხი კი მეტად საგულისხმოა, საჭიროდ მივვაჩნია უფრო ვრცლად და საბუთიანად შევეხოთ.

ხაშურის პროგიმნაზია 1908 წ. 10 ოქტომბერს გაიხსნა. სასწავლებლის დაარსების საქმე ხალხის არჩეულმა კომიტეტმა მოაწყო და არა შატბეროვმა, რომელიც მიწვეული იყო როგორც მასწავლებელი და არა როგორც გამგე-პატრონი. (ეს მოხსენებულია სასწავლებლის იმავე წლის ოქმში № 2). ქ-ნ შატბეროვს დაევალა მხოლოდ ნებართვის აღება და ამის ყოველივე ხარჯები, გარდა სადილის ფულისა—25 მანეთი, კომიტეტმა უზღო; სულ 64 მ. და 54 კ., (ოქმი № 8).

აი, ერთი სიმპტომი ჩვენი სკოლის სავალალო მდგომარეობისა. მასწავლებელი ტალახს ესვრის სკოლისა დ საზოგადოებისთვის თავ-დადებულ პირთ, რა-კი ის სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით სასწავლებლის დახურვის გამო დაითხოვეს! ახალა, ქ-ნი შატბეროვი—სამას მანეთს უჩივის სკოლას, როცა ხელის წერილიც აქვს დადებული სკოლის კომიტეტის წინაშე: უკეთუ ვაჟრუკანობას და სწავლის დღეს ქორწილებში წასვლას არ მოიშლიდა, კომიტეტს უფლება ჰქონდა უჯამაგიროდ დაეთხოვა. (იმავ ოქმებიდან) ვინ ყოფილა მართალი: კომიტეტი, თუ ქ-ნი შატბეროვი?

ამას გარდა, სკოლის კომიტეტმა სამასი მანეთი გადასდო, მოსწავლეთათვის წიგნებისა და სხვა საჭირო ნივთების გამოსაწერათ,—ეს იმიტომ, რომ ნივთები მოსწავლეთ მაღაზიის ფასებში შეეძინათ; მაგრამ ქ-ნ შატბეროვმა და ძმათა მათთა ნივთები თავიანთი ფულებით გამოიწერეს და ის ნივთი, რომელიც მოსწავლეთ 3 კაპ. უნდა დასთმობოდათ 4 კაპ. გადაახდევინის. ეს ფაქტი დაუფარავი არ დარჩა კომიტეტისთვის და უკანასკნელმა შესაფერი ზომები მიიღო და, რომ ასეთი რამ არ განმეორებულიყო, მათ ხელის წერილი ჩამოართვა ქ-ნ ქორქიას სახით და შატბეროვიც გააფრთხილეს. (ოქმიდან ნომერის ამოწერა დამეწყნია).

აი, აქედან დაიწყო მასწავლებელთა მტრობა კომიტეტის წინააღმდეგ.

მაგრამ ამგვარი მოქმედება მაინც არ შესწყდა. სამოსწავლო წლის დასაწყისს, ქ-ნ შატბეროვმა, თავისი ქმრითურთ მოსწავლეთა შორის წიგნების გამოსაწერი ფულები მოკრიბა, მაგრამ დრო გავიდა და მოწაფეთ არც წიგნები უყიდეს და არც ფულები დაუბრუნეს. კომიტეტს არც ეს გამოეპარა და ქ-ნ შატბეროვის ქმარს გიორგის სასწავლებელში სიარული აუკრძალა, (ოქმი № 14, 6, 4.) ამავე მასწავლებელთა კორპორაციამ კომიტეტის დაუკითხავად დ. სურამში წარმოდგენა გამართა პროგიმნაზიის სახელზე. წარმოდგენის შემდეგ, კომიტეტს არც ანგარიში ჩააბარეს და არც თეატრის ფული გადაიხადეს. თეატრის პატრონმა ნოდიამ შატბეროვს უჩივლა და აღმასრულებელი ფურცელი 40 მანეთისა № 1611, სკოლის კომიტეტს წარუდგინა. კომიტეტი იძულებული გახდა ეს ფული გადაეხადა და შემდეგ შატბეროვის ჯამაგირიდან აეღო. ამას გარდა, ქ-ნი შატბეროვი მოსწავლეთაგან აღებულ სასწავლო ფულებს სისტემატიურად ითვისებდა და კომიტეტს არავითარ ცნობას არ აძლევდა, სანამ ამას კომიტეტი თვით არ აღმოაჩენდა. რადგანაც ამ გვარ მოქმედებას საზღვარი არ მიეცა, კომიტეტი იძულებული გახდა კანონისათვის მიემართა და ამის შესახებ აღძრული საჩივარი დღესაც არ არის გათავებული. ამის მსგავსი მაგალითები ბევრია, მაგრამ შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვან მხოლოდ ერთ ფაქტს რაც აშკარად ღაღადებს ამ სამწუხარო ჭეშმარიტებას, რომელიც აღნიშნულია ინჟინერ კაციტაძის მოხსენებაში.

„მიხაილოვის (ხაშურის) პროგიმნაზიის მზრუნველთა დავალებით,—ამბობს კაციტაძე, მოვახდინეთ რევიზია სკოლის სწავლის ფულისა და სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის ფული შეტანილი არ აღმოჩნდა. ამასთანავე გამოვარკვიეთ, რომ ზოგიერთ მოსწავლეთ შეეტანათ სწავლის ფული სულ 105 მანეთი, რომელიც მიეღო ქ-ნ შატბეროვს, ხოლო რევიზიის დასასრულამდე ამ ფულების მიღება არავისთვის გაუცხადებია და მოსწავლეთათვის კვიტანციებიც არ ჰქონდა მიეცა; რევიზიის ბოლოს შატბეროვმა გვთხოვა ეს ფული ჯამაგირიდან გამოგვერიცხა“. (ეს განცხადება საქმეშია შეტანილი და აღინიშნება № 6—ით.)

ეს ფაქტები აშკარად ამტკიცებს, თუ როგორ ეპყრობოდა სკოლის საქმეს ქ-ნი შატბეროვი, ან საისკენ იყო მიმართული მისი სულის სწრაფვა. თუ დღეს ქ-ნი შატბეროვი ვერ ისვენებს და ლობე-ლობეს ედება, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ის თავისი მიუტევებელი შეცდომების წინ წარსდგა და ახლა პრესის საშუალებით სურს სირცხვილი წარიხოცოს ხალხისა და სკოლის წინაშე.

მაგრამ, სიცრუეს ხიდი ჩაუტყდა!..

ნ. ჩხიკვაძე.

სხვა და სხვა ამბავი

სახალხო განათლების სამინისტროს მის ახლად შემოღებული შტატები, მასწავლებელთა ჯამაგირების გადიდების გარდა, კიდევ იმით განირჩევა ძველისაგან, რომ მასში ჩამოთვლილია ყველა თანამდებობის ის პირები, რომელთა შვილებსაც უფლება აქვსთ სახელმწიფო ხარჯით აღიზარდონ. ძველი წესით კი ასეთი უფლება სამინისტროს ყველა მოსამსახურეს ჰქონდა, ვინც კი განსაზღვრულ ხანს მსახურობდა. სამოსწავლო წლის დამდეგს ბევრმა მოსამსახურემ, რომელნიც სიაში ვერ მოხვდნენ, დირექტორებისაგან მოწერილობა მიიღეს, რომ მათი შვილები დათხოვნილ იქნებიან სწავლის ფულის შეუტანლობის გამო. ამ უფლებას ახალი წესით მოკლებული არიან სახალხო სკოლების მასწავლებლები და ყველა წვრილი მოხელე, როგორც ცენტრალური სამართველოისა, ისე პროვინციალურ დაწესებულებათა.

სამოსის კუნძულელნი.

„ლოკალ ანცაიგერის“ მილანის კორესპოდენტი დაწვრილებით ასწერს 600 კრიტელის განზრახვას. ამ ექვსასს კაცს სამოსის კუნძულის განთავისუფლება მოუნდომებია. საქმის მოთავე ყოფილა ვინმე სოფულისი, რომლისათვისაც ოსმალეთის მთავრობას ამას წინად სიკვდილი გადაუწყვეტია.

25 აგვისტოს სოფ. გიორგიპულოსიდან სამოსისაკენ უნდა გამგზავრებულიყო საბერძნეთის გემი „ნიკოლოზი“, წაელო იარაღი და ეს 600 კაციც თან წაეყვანა. მაგრამ ეს ამბავი გაუგია ინგლისისისა და რუსეთის კონსულებს. ინგლისის კრეისერმა და რუსეთის გემმა დაიწყეს ნაპირებთან ცურვა. ვოლონტიორებმა წასვლა ველარ მოახერხეს და სოფულისიც ათონას წავიდა.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

22 აგვისტო.

საზღვარ-გარეთ

თეატრის გაძარცვა.

ლონდონი. წუხელის ნიღაბ აფარებული ყაჩაღები „ვარიეტეს“ თეატრში შეცვივდნენ, ქლოროფორმით დააძინეს სტოროჟი და ცეცხლის მქრობელნი, დინამიტით შკაფი ააფეთქეს, 1000 თუმანი წაიღეს და გაიქცნენ.

გემის დაღუპვა.

ბუენოს-აირესი. არგენტინის გემი „კოლარტინე“ რიო-გრანდს ახლო დაიღუპა. მეზღვაურებიც ყველანი დაღუპულან.

ქარიშხალი.

პიტსბურგი. პენსილვანის დასავლეთს დიდი ქარიშხალი ამოვარდა. დაიღუპა 13 კაცი. ზარალი დიდია, უდრის თითქმის 3 მილიონ მანეთს.

სომხები და ქურთები.

სტამბოლი. ქურთისტანიდან ცუდი ამბავი მოდის. ვანის ვილაიეთში ქურთები თურმე მუდამჟამს თავს ესხმიან სომხის სოფლებს. ერთი სოფელი მთლად გადაუწვამთ, 14 სომეხი მოუკლავთ, ბევრი დაუჭრიათ, 8 ქალი გაუტაცნიათ.

ვალესში, ლიანდავს ახლო ორი ყუმბარა იპოვნეს.

იტალია და ოსმალეთი.

რომი. „პეტერბურგის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება: ტყუილია ის ცნობანი, რომელიც იტალიელთა და ოსმალთა დელეგატების თათბირს შეეხება, რადგან თათბირი ძალიან საიდუმლოდ სწარმოებსო. თათბირის გარემოება მხოლოდ მინისტრ-პრეზიდენტმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა იციანო.

სერბია.

ბელგრადი. ხალხის თავისუფლების კომიტეტმა მინისტრ-პრეზიდენტს 19 აგვისტოს ყრილობის დადგენილება გადასცა. ქვეყნის ყოველი მხრით აუარებელი მოლოცვა მოსდით ყრილობის წარმომადგენლებსა. ოსმალეთმა სერბიის მიერ სენიცას გაგზავნილი მოხელე დააპატიმრა. იმას ხოცვა-ჟლეტის ამბის გამოძიება უნდა მოეხდინა.

მატარებლის დაჯახება.

ბოლონია. რიოლას სადგურთან ჩქარი მატარებელი საბარგოს დაეჯახა, სამი კაცი დაიღუპა, 12 დაშავდა.

ჩინეთი და ინგლისი.

ლონდონი. ინგლისის მთავრობას ჯერ არ მიუღია ჩინეთისაგან ტიბეტის შესახებ გაგზავნილ მემორანდუმის პასუხი.

კალკუტა. ინგლისის მოხელეებმა დარჟილინგში საზღვარზე არ გაატარეს დალაი-ლამისაკენ მიმავალი ჩინელთა მისია. ამბობენ, მისიაში მონგოლების წარმომადგენელნი არიან, რომელთაც დალაი-ლამა უნდა დაითანხმონ მონგოლეთს დაუკავშირდესო.

ჯაოერსუნი.

მუკდენი. პეკინში ჩამოვიდა ჯაოერსუნი და ჰსურს იუანშიკაის მოელაპარაკოს მონგოლეთის მოძრაობის გამო. მონგოლეთს რამდენიმე დესპანი გაიგზავნა. დესპანებმა მონგოლეთის მთავრები უნდა დაითანხმონ და დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ხელი აალებინონ.

„ერთობის და პროგრესის“ კომიტეტი.

სტამბოლი. გაიხსნა „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტის დელეგატთა ყრილობა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საარჩევნო ღონისძიებანი.

იაპონია კორეიაში.

ტოკიო. გაზეთი „ძიძი-შიმბო“ ენერგიან პროტესტს აცხადებს კორეაში ორ დივიზიის შედგენის გამო: რუსეთთან ისეთი ურთიერთობა გვაქვს, შიში არაფრისა უნდა გვქონდეს და რა საჭიროა იაპონიის ჯარის გაძლიერებაო.

არეულობა.

ტოლოზა. საყოველთაო გაფიცვის საქმის გამო არეულობა მოხდა. არეულობა ჟანდარმერიამ მოსპო.

რუსეთი

მუშების დაღუპვა.

პეტერბურგი. დღეს, გალერნი ქუჩაზე სახლს აშენებდნენ, ხარაჩოები ჩამოინგრა—ერთი მუშა მოჰკლა და ორი ძლიერ დააშავა.

„რეჩი“-ს რედაქტორის საქმე.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს დადგენილება „რეჩი“-ს რედაქტორის ელკინის შესახებ. სასამართლომ ელკინს კიევის ნამოურავალ პროცენკოს გაზეთით შეურაცხყოფისათვის სამი თვის ციხე მიუსაჯა.

თეატრი და ხელოვნება

მომავალი სათეატრო სეზონი ბათომში. დამსახურებულმა მსახიობმა შალვა დადიანმა უკვე შეადგინა ქართული დრამატიული დასი ბათომისათვის, სადაც წარმოდგენებს გამართავს მთელის მომავალ სათეატრო სეზონის განმავლობაში. მუდმივი დასი ბათომში წელს პირველად შესდგა. დასში შემდეგი პირნი შედიან: ქ-ნნი: როხელი, ელ. ანდრონიკაშვილი, ო. ლეჟავა, დარჩია; აბაშიძე და ნაუმელი და ბ-ნნი: შალვა დადიანი, ალ. ყალაბეგიშვილი, ივ. ბარველი, პლ. კორიშელი, ან. მესურიძე, ვლ. ხარელი, შ. გოგოლაშვილი და სტ. ხარაზიშვილი. ამას გარდა გადაწყვეტილია, დროგამოშვებით ტფილისისა და ქუთაისის დასის დამსახურებული მსახიობნიც მიიწვიონ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად. ვუსურვებთ, ეს ახალი საქმე ბათომში ნაყოფიერად დამთავრებულიყოს.

პასუხად ბ-ნ ფარს

(„დასაწყისი ევროპიული, დასასრული ქართული“. იხ. სახალხო გაზეთი“ № 671).

თებერვალში, სოფ. ზემო-გომში მოვიწვიე ადგილობრივი მემამულენი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მომავალ მოქმედების გასაცნობად; დამსწრეთ მოვახსენე თუ რაში უნდა ჩამოყალიბდეს აგრონომის მოქმედება პრაქტიკულად; აღვნიშნე აგრეთვე, რომ გამოწერილი იქნება პურის სარკვევი, სიმინდის საცეხვი, სათესი, და სხვა მანქანები. ყველა რაც კი მოვახსენე კრებას, მოვახსენე არა ჩემით, არამედ ჩვენის საზოგადოების საბჭოს მონდობილობით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მანქანები და კიდევ ზოგიერთი სხვა შეტანილია ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში. ზოგიერთი მანქანა - იარაღი უკვე მიღებულია (მათოხი, გუთანი, ფარცხი და მუშაობდა კიდეც ზემო ქართლში; ხოლო ის მანქანები, რომელიც ჩამოთვლილია ბ-ნ ფარის წერილში: პურის სარკვევი, სიმინდის საცეხვი, და სათესი მანქანები ჯერ არა მაქვს, რადგან ყველა მათ გამოსაწერად საჭირო ფული არ მიმიღია საბჭოსაგან.

საბჭოსადმი არა ერთხელ მიმიმართავს თხოვნით, რომ ფული გამოგზავნონ მანქანების გამოსაწერად, მაგრამ ფული აქნობამდის არ არის.

ფულის გამოსაგზავნად მიმიმართავს: 19 თიბათვეს, 29 თიბათვეს, 19 და 30 მკათათვეს, 8 მარიამობისთვეს, მაგრამ მანქანების გამოსაწერად ნათხოვნი ფული არ მოსულია.

თუ საბჭო ფულს არ მიგზავნის და მანქანები ტყუილად გამომიწერია, ეს ბ-ნო ფარო ჩემი დანაშაული არ არის და არასფერს შუაშია აქ აგრონომის „მოხალისება“, მიზეზი ჩემი ახლანდელ უმოქმედობისა არის საბჭოს მიერ ფულის გამოუგზავნელობა.

საბჭოს მოსთხოვეთ ბ-ნო ფარო პასუხი. თუ საბჭოს ჰგონია რომ მარიამობისთვეში და ენკენისთვეში საჭირო მანქანების გამოსაწერად ფული უნდა გამოიგზავნოს დეკემბერში, ესეც ბ-ნო ფარო საბჭოს მოსთხოვეთ; მე ამ მოსაზრებაში წილი არ მიდევს და გთხოვთ სამერმისოდ თქვენის საყვედურით მიმართოთ ხოლმე საბჭოს. ნუ გავიწყდებათ, ბ-ნო ფარო, რომ აგრონომები თავის მოქმედებაში დამოკიდებულნი არიან საბჭოს ნება-ყოფლობაზე და

ჰიალმ. მაშ არას დროს არ გაგითვალისწინებია შენი წარსული?

გინა არა, ღმერთს გეფიცები, დავიწყებულიცა მაქვს ეს ძველი ისტორიები.

ჰიალმ. ოჰ, ეს გახევებული, უგრძნობელი სიმშვიდე, იგი ჭკუიდგანა მშლის მე... სინანულის აჩრდილიც კი არა!

გინა. მითხარი წმინდის გულით, ეკდალ, რა მოგივიდოდა, ჩემისთანა ცოლი რომ არ შეგხვედროდა.

ჰიალმ. შენისთანა?

გინა. ჰო, იმიტომ რომ მე ყოველთვის შენზედ ცოტად დარბაისელი და ჭკვიანი ვიყავი. ეს ესეც უნდა ყოფილიყო: ორი წლით დიდი ვარ.

ჰიალმ. რა მომივიდოდა?!

გინა. მე რომ გამიცანი, შენ მაშინ უკვე ცუდს გზაზედ იდექი. იმედია ამის უარს არა ჰყოფ?

ჰიალმ. დიაღ, შენ ამას ეძახი ცუდს გზას. შენ არ შეგიძლიან გაიგო, რას უნდა გრძნობდეს ადამიანი დარდისა და სასოწარკვეთილების დროს, მით უმეტეს ისეთი მგრძნობიარე სული, როგორიც მე ვარ.

გინა. ჰო, დიაღ, დიაღ. მე ხომ არც გაყვედრი... იმიტომ რომ შენ ძალიან კარგი და გამჭრიახი კაცი გახდი, როგორც კი მოეწყე საკუთარ სახლ-კარს. და ჩვენც ისე კარგად დავიწყეთ ცხოვრება, მე და ედვიგი ჩქარა უკვე ვაპირებდით მეტი გვეხარჯა სასმელ-საჭმელზედ, ტანისამოსსა და ჩვენს თავზედ.

ჰიალმ. დიაღ, ამ სიცრუისა და ცოდვილ სიჩუმის ჭაობში.

გინა. რა ეშმაკმა მოახეტა ნეტა აქ ჩვენსა ის საზიზღარი კაცი.

ჰიალმ. მეც ეგრე ყველაფერი კარგად მეჩვენებოდა სახლში, მაგრამ ეგ მხოლოდ შეცდომა ყოფილა. სადღა უნდა ვეძიო და ვპოვო იმოდენი ძალა, რომ ჩემი გამოგონება დავამთავრო. ეხლა შეიძლება ის ჩემთან ერთად მოკვდეს. მაშინ გახსოვდეს, გინა, შენი წარსული მოჰკლავს მას.

გინა. (თითქმის ტირილით). არა, ეკდალ, ეგ არ უნდა სთქვა. თითქმის მთელი ჩემი სიცოცხლე მხოლოდ შენს სიამოვნებაზედ ვფიქრობდი.

ჰიალმ. არა, მე თქვენა გკითხავთ, რა მოუვა ეხლა მამისა და ოჯახის მარჩენალის ოცნებას? მიპასუხე! ჯერ ისევ მაშინ, როდესაც მთელი საათობით გულდამა ვიწექი ხოლმე იქ, დივანზედ და თავს ვიმტვრევდი ჩემს გამოგონებაზე ფიქრით, ვგრძნობდი, რომ იგი სჩანთქამდა ჩემს უკანასკნელ ძალ-ღონეს; ვგრძნობდი, რომ ის დღე, როცა ხელში გამოგონების პატენტი მეჭირებოდა, ის დღე იქმნებოდა ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეც. მე ვოცნებობდი, რომ შენ დარჩებოდი უზრუნველყოფილ ქვრივად უდროვოდ საფლავში ჩასულ გამომგონისა.

გინა. (ცრემლებს იწმენდავს). არა, ეკდალ, მაგას ნუ ამბობ. ღმერთმა ნუ მომასწროს იმ დღეს, რომ ქვრივად დავრჩე.

ჰიალმ. განა სულ ერთი არ არის. ეხლა ყველაფერი მორჩა, დაიღუპა!.. ყველაფერი!..

გრეგ. (ფრთხილად გააღებს ტალანიდგან კარებს და შეიხედავს). შეიძლება, შემოვიდე?

ჰიალმ. მოდი.

გრეგ. (გაბრწყინვებული, კმაყოფილი სახით; უნდა, იმათ ხელები გაუწვდინოს). აბა, ჩემო ძვირფასნო! (უცქერის ხან ერთს, მეორეს. ჩუმად ჰიალმარს). როგორ, განა ჯერ არ მოგილაპარაკნიათ?

ჰიალმ. (ხმა მაღლა). მოვილაპარაკეთ.

გრეგ. ჰო?

ჰიალმ. ჩემი ცხოვრების უუმწარესი წუთი გამოვიარე.

გრეგ. დარწმუნებული ვარ, ის წუთი უუმაღლესი და უუწმინდესიც იყო.

ჰიალმ. ყოველ შემთხვევაში ყველა ამან უკვე გაიარა.

გინა. ღმერთმა გკითხოთ ბ-ნო ვერლე.

გრეგ. (გაკვირვებული). მე არ მესმის....

ჰიალმ. რა არ გესმის?

გრეგ. ამას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზედ უნდა დამყარებულიყო სრულიად ახალი ცხოვრება-ცხოვრება ერთად, სრული სიმართლით, უტყუარი...

ჰიალმ. ეჰ, ვიცი, კარგად ვიცი.

გრეგ. მე მეგონა, კარს რომ შემოვაღებდი, უცბად გაბრწყინვებულ ნათელს დავინახავდი, რომლითაც გადაგვარდებოდა ცოლ-ქმრის სულიერი მდგომარეობა, და აქ კი ეს წყვდიადი, სიბნელე, დაღონებული, მოჭუშული სახენი...

გინა. აბა, აჰაათ!.. (ახდის ლამპას აბაჟურს).

გრეგ. თქვენი ჩემი გაგება არა გსურთ, ქ-ნო ეკდალ. თქვენთვის საჭიროა კიდევ რამოდენიმე ხანი. მაგრამ შენა, ჰიალმარ! წარსულთან ამ დიად ანგარიშს არ შეეძლო არ გადაეგვარებინე.

ჰიალმ. ჰო, მეც აკი გადავგვარდი... რამოდენადმე გადავგვარდი.

გერგ. იმაზედ სასიამოვნო ცხოვრებაში არაფერია, როგორც ის რომ დამნაშავეს პატიოს და წმინდა სიყვარულით შენამდის აამაღლო ისა.

ჰიალმ. თუ გგონია ადვილია იმ მწარე ფიალის შესმა, რომელიც ეს არის ეხლამე გამოვცალე.

გრეგ. ჩვეულებრივი ადამიანისათვის—არა, მაგრამ შენისთანასათვისკი!..

ჰიალმ. ეგ ხომ ვიცი; ოჰ ღმერთო! მაგრამ ძალიანაც კი ნუ მაშურებ, გრეგერს. ამისათვის, ჰხედავ ახლა, საჭიროა დრო!

გრეგ. მაგრად კი გაქვს გამჯდარი ძვალ-რბილში გარეული იხვის ზნე-ჩვეულებანი, ჰიალმარ.

რელლინ. (ტალანიდან შემოდის). აბა, ისევ გარეული იხვი.

ჰიალ. ჰო, კომერსანტ ვერლეს ნადირობის ალაფი.

რელლინ. კომერსანტი ვერლესი? თქვენ იმაზედ ლაპარაკობდით?

ჰიალმ. იმაზედ და ჩვენზედაც.

რელლინ. (ყურში გრეგერსს). ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი!

ჰიალ. რა უთხარი შენ ეხლა მაგას?

რელლინ. მხოლოდ ჩემი გულითადი სურვილი გამოვთქვი, რომ ეს კაცობრიობის მკურნალი თავისს ბუნაგში წათრეულიყოს. თუ აქ დარჩა, ამას შეუძლიან ორივენი სრულებით აგრიოთ.

გრეგ. ეგ არ მოხდება, ბ-ნო რელლინ. ჰიალმარზედ ლაპარაკი არც გვინდა, მაგას ჩვენ ვიცნობთ; მაგრამ გინას ბუნებაშიაც არის რაღაც გულ-წრფელი, მტკიცე...

გინა (თვალცრემლიანი). დაგენებებინა ჩემთვის თავი, როგორიცა ვარ.

რელლინ. (გრეგერსს). გავკადნიერდები და გკითხავთ, კერძოდ ამ სახლში რა გინდათ?

გრეგ. მინდა პატიოსან, ნამდვილ ცოლ-ქმრულ კავშირს საფუძველი დავუდო.

რელლინ მაშ თქვენი აზრით ეხლანდელი მათი დამოკიდებულება იმ სახით, როგორიცა ამ ჟამად არის, არ ვარგა?

გრეგ. სამწუხაროდ, ეს ისეთივე ქორწინებაა, როგორც მომეტებული... მაგრამ ეს ჯერ კიდევ ნამდვილი ცოლ-ქმართა კავშირი არ არის.

ჰიალმ. შენ არას დროს არ ამაღლებულხარ იდეალურ საკითხებამდე, რელლინგ?

რელლინ. სისულელეა, ჩემო კარგო. თქვენი ნებართვით, ბ-ნო ვერლე, რამდენი... აბა, დაახლოვებით, მთელს სიცოცხლეში რამდენს ნამდვილ ჭეშმარიტ ცოლ-ქმართა კავშირს შეხვდით?

გრეგ. თითქმის არც ერთს.

რელლ. არც მე.

გრეგ. მაგრამ მე ვნახე უთვალავი კავშირი სრულიად წინააღმდეგი ხასიათისა და ვნახე აგრეთვე ჩემი თვალებით, თუ მაგგვარი ქორწინება ცოლ-ქმარს როგორ ასახიჩრებს.

ჰიალ. და კაცს ფეხებ ქვეშ როგორ ეცლება ყოველი ზნეობრივი ნიადაგი... და ეს კი ყველაზედ შემაძრწუნებელია!

რელლინ. სწორედ გითხრათ, ნამდვილად ცოლი არასოდეს არ შემირთავს და მაგის განსჯას თავს არ ვიდებ. მაგრამ ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: შვილი ქორწინების ხელ-უხლებელი ნაწილია და ბავშვს თქვენ უნდა თავი დაანებოთ.

ჰიალ. ახ, ედვიგ! საბრალო ჩემო ედვიგ!

რელინ. ჰო, ედვიგს თქვენ არ უნდა შეეხოთ. თქვენ ორივენი დიდები ხართ. იჩხუბეთ რამდენიც გინდათ ღვთის სადიდებლად, გააკეთეთ გამოცდა თქვენს დამოკიდებულებაზედ, თუ თქვენ ეგრე ძალიანა გსურთ, მაგრამ ედვიგს კი უნდა გაუფრთხილდეთ, თუ იმისი უბედურება არ გინდათ.

ჰიალ. უბედურება?

რელლინ. დიაღ, ან ყოველ შემთხვევაში ის თავისს თავს თვითონ გაიუბედურებს... და ამასთანავე, შეიძლება, სხვებიც გააუბედუროს.

გინა. თქვენ ეგ საიდგან იცით, რელლინგ?

ჰიალმ. მაგას ხომ არ შეუძლიან მხედველობაზედ იმოქმედოს?

რელ. მხედველობა აქ შუაში არ არის. ედვიგი საშიშ ხანაშია. განა ცოტა რამ შეუფერებელი მოუვა იმას თავში.

გინა. დიაღ, დიაღ. იმას რაღაც მაგისთანა სჩვევია... რაღაც საშიში ცეცხლით თამაშობა შემოიღო სამზარეულოში... ამბობს ცეცხლი-წაკიდიანასა ვთამაშობო. ხანდისხან ისეთი მეშინიან, ექ როგორმე მთელი სახლიც არ გადასწვას.

რელ. აბა, აი ხედავთ... მე ვიცოდი..

გრეგ. მერე, თქვენ ამას რითი ხსნით?

რელ. (გაჯავრებით). ის მაგისთანა ხანაშია, ჩემო კარგო.

ჰიალმ. სანამ მე ბავშვის ახლო ვარ...

გინა. ჩუმად, ეკდალ! დერეფანში ვიღაც არის! (უძახის). მობრძანდით! (შემოდის ქ-ნი სიორბუ).

ქ-ნი სიორ. საღამო მშვიდობისა!

გინა. (წავა იმისკენ მისასალმებლად). ახდეს შენა ხარ, ბერტა!

ქ-ნი სიორ. მე ვარ, რა, იქნება უდროოდ მოვედი?

ჰიალმ. რასა ბრძანებთ... ისეთი სახლის ელჩი...

ქ-ნი სიორ. სწორედ გითხრა, მე მეგონა, შენი კაცები სახლში არ იქნებოდნენ და შემოვიარე გამოთხოვების დროს შენთან მემუსაიფნა.

გინა. მიემგზავრები საითმე?

ქ-ნი სიორ. ჰო, ხვალ დილით, ბ-ნი ვერლე დღეს წავიდა.

(შემდეგი იქნება)

გ. ნამორაძე.

მის მიერ ჩვენის საჭიროების ალღოს სისწორით და დროზე აღებაზე.

წევრი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა, ქართლის აგრონომი
ე. კარბელაშვილი.

ღია წერილი

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მყოფ ს. ღორეშის ინტელიგენციისადმი.

მოგეხსენებათ, რომ დავაარსეთ ს. ღორეშაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავ სამკითხველო 1911 წ. 6 მარიამობისთვეს. თქვენთვის ცხადია, თუ რა დიდი განმანათლებელი და კულტურული მნიშვნელობა აქვს ასეთს დაწესებულებას ჩვენი დაბეჩავებულ სოფლისთვის. დღეს ეს დაწესებულება ნივთიერად დახმარებას ჰსაჭიროებს. თქვენი ზნეობრივი მოვალეობაა, ხელი გამოუწოდოთ თქვენის სოფლის დამამშვენებელ ქართულ დაწესებულებას. გთხოვთ ჩაეწეროთ ღორეშის წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრად. წლიური გარდასახადი ფული ორი მანეთია. ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით: Ст. Бѣлогоры. Черезъ Бѣлогорское Почтовое Отдѣленіе въ сел. Горета. Дв. Давиду Партеновичу Мачавріани для горешской библіотеки-читальни.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. ღორეშის წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგის მაგიერი **არისტოკლე რამინიშვილი.**

გამგეობის წევრნი: მღვდელი სიმონ ქუმბურიძე, მღვდელი სიმონ ვურტანიძე, მღვდელი დომენტი რამინიშვილი, მაქსიმე გაჩეჩილაძე.

წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად ვთხოვ „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციას შემდეგი წერილი დამისტამბოს:

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ არჩილ სვიმონის ძე ციხისთავს, რომელმაც ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის სკოლასთან არსებულ საბავშვო ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები შემოსწირა და შემდეგაც აღუთქვა ყოველ წლივ რაიმე შემწეობის აღმოჩენა.

ი. ჭავჭავაძისა: გლახის ნაამბობი, კაკო ყაჩაღი, დედა და შვილი, სარხჩობელაზე, რჩეული ლექსები, ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი, მგზავრის წერილები, უცნაური ამბავი, აჩრდილი, სცენები, განდეგილი, მეფე დიმიტრი თავდადებული, ოთარაანთ ქვრივი. **ს. მგალობლიშვილისა:** მთიული სოსე, თავადი იერონიმე. **აკაკისა:** ნაცარ-ქექია, სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე, მამლის ყივილი, დათუნა გოცირიძე. **ნ. ლომაურისა:** ალი. **ი. რაჭველისა:** მართალი კაცი. **ა. ყაზბეგისა:** ელისო. **ივ. გომელაურისა:** მოწაფის ჰიგიენა(თარგ.) **ლ. ტოლსტოისა:** დები, ძვირად დაჯდა. **ზ. ჭიჭინაძისა:** დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, სოლომონ ლეონიძე. **ი. გოგებაშვილისა:** თავდადებულნი ქართველნი, ივანენამ რა ჰქმნა, ერეკლე მეფე დ ინგილო ქალი. **დ. კარიჭაშვილისა:** როსტომ მეფე, თამარ მეფე, სვიმონ მეფე. **ვ. ლამბაშიძისა:** ექიმის საუბარი. **დ. ბაქრაძისა:** ქართველი ქალები. **ა. ფურცელაძისა:** ქიტესა. **ცახელისა:** ლექსები. **ვახუშტისა:** საქართველოს გეოგრაფია. **ეგ. ნინოშვილისა:** პალიასტომის ტბა. იმერეთის მეფე სოლომონი, წმ. დავით მე-III—აღმაშენებელი, ფაბიოლა ანუ უწინდელი ქრისტიანები.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. თელავის სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგნიაშვილისა.**

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სად. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ. № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სად. 7 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, სად. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სად. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, სად. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 სად. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები **ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.
კრასნოვოდსკში ყოველდღე სად. 8 საათ.
ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.
ლენქორანში ორშაბათობით სად. 6 საათ.
ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.
კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.
მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე სად. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით სად. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანიანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ზ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საზებიო დ. ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნ გასარდიანი.**
(წ. 1078.197

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის

საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—11)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ.,
№ 2.
ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.

(25.549.16)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ბლაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.
(0—1253—97)

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საზებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.52)

ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100—1231—31)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხსა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**
(25.1407.7)

საუკეთესო სხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი ძმ. ძენველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

ყურადღება!
მიიღეთ მარიამობისთვის
კილკები
(წ.1131.237)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ სააგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალა,
გირვანქა 1 მ. 60 კ.

შპალიერი

ე. ა. ცატუროვის დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.
(40—1400—12)

თ. მთავრიშვილისა

და **ამხ.** წიგნის მაღაზია ქუთაისში
ამ წლის აგვისტოს
15-დან გადადის
ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდ
პირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, ს
დაც ელექტრო-თეატრი „**თამა**
იმყოფებოდა.
(8.1416.8)

საკანცელარიო მაღაზია

დ. და კ. ოცხელების,

ქ უ თ ა ი ს შ ი,
ამა წლის აგვისტოს
15-დან გადადის
ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდ
პირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, ს
დაც ელექტრო-თეატრი „**თამა**
იმყოფებოდა.
(8.1415.8)

დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად

თ. მთავრიშვილისა და ამხ წიგნის მაღაზიის

ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიე ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზ
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაურ

(8.1417.8)

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზია

ქ უ თ ა ი ს შ ი

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძ**

„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

ტომი მეორე. აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღ ბული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.8)

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „	80 კ.
III „	„ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „	85 კ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟების და ქალებისათვის. კურსის დამთავრ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი. პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ალაგის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათგან 42 ქალი. (თ. 451.3)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია დ რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450—3)

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.